

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საია შიდა ქართლის რეგიონში
პოლიტიკური შეხედულებების გამო
ძალადობას ეხმაურება და
სამართალდამცავებს აღნიშნული
ქმედებების პრევენციისაკენ მოუწოდებს**

საია ეხმაურება 2012 წლის 26 ივნისს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში და ქარელის მუნიციპალიტეტში მომხდარ ინციდენტებს და მიიჩნევს, რომ დაუშვებელია პოლიტიკური შეუწყნარებლობის ნიადაგზე წარმოშობილი ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით პოლიციის მხრიდან პასიურობა და, ასევე, საჯარო სამსახურის პოლიტიზაცია.

მერეთში შეკრებილი ადამიანების ერთი ჯგუფი აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა სოფელში ამომრჩევლებთან შესახვედრად ჩასული კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერების ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას მიმართ. ბოლოს, მოქალაქეებს შორის უთანხმოება ხელჩართულ ჩხუბსა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს შემთხვევის ადგილზე მყოფმა პირებმა. ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა საზღვრისპირა სოფლის გასწვრივ, სადაც მუდმივად პატრულირებენ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, თუმცა პოლიციას არ გაუტარებია არავითარი ღონისძიება ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით გარანტირებულია მშვიდობიანი შეკრების უფლება. სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას შეკრების თავისუფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ექიმები სიცოცხლისათვის ავსტრიის წინააღმდეგ“ მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა: შეკრების მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ მათი შეხედულებების ღიად გამოხატვის შესაძლებლობა ოპონენტების მხრიდან ფიზიკური თავდასხმის შიშის გარეშე. სახელმწიფო არა მხოლოდ მაშინ არღვევს ადამიანის შეკრების უფლებას, როდესაც უშუალოდ ხელს უშლის დემონსტრაციის ჩატარებას, არამედ მაშინაც, როდესაც დემონსტრანტებსა და სხვა კერძო პირებს შორის ფიზიკური დაპირისპირების დროს ინარჩუნებს პასიურ პოზიციას და არაფერს აკეთებს იმ ძალადობის პრევენციისათვის, რაც შეუძლებელს ხდის მშვიდობიანი შეკრების ჩატარებას.

მოცემულ შემთხვევაში, პოლიციამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება იმით, რომ არ ჩადგა დაპირისპირებულ მხარეთა შორის და დაუშვა მათ შორის ფიზიკური შეხება.

ასევე ყურადღებას იმსახურებს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა. პოლიციამ დააკავა ოთხი პიროვნება: ლაშა ჭილაძე, ალექსანდრე ოდიშვილი, ალექსანდრე კიკოლაშვილი და დავით ბზიშვილი. მათ მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. საიას ადვოკატები გორის რაიონულ სასამართლოში იცავდნენ ალექსანდრე კიკოლაშვილისა და დავით ბზიშვილის ინტერესებს. სასამართლოში ვიდეომასალის სახით წარდგენილი

მტკიცებულებიდან ირკვევა, რომ დავით ბზიშვილი არათუ ჩართული არ არის ძალადობის აქტებში, არამედ მას, წაქცეულ მდგომარეობაში მყოფს, თავდამსხმელები აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. მოწმეთა ნაწილს, რომლებმაც ჩვენება მისცეს საიას ადვოკატების დაცვის ქვეშ მყოფი პირების წინააღმდეგ, არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და, შესაბამისად, ვერ დგინდებოდა მათი ვინაობა და საქმესთან კავშირი. ამის მიუხედავად, გორის რაიონულმა სასამართლომ დავით ბზიშვილს და ალექსანდრე კიკოლაშვილს 10 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

საია განსაკუთრებით შეშფოთებულია აღნიშნულ კონტრდემონსტრაციაში საჯარო მოხელეების მონაწილეობით და მათი ქცევით. საინფორმაციო პორტალ qartli.ge-ს ინფორმაციით, კონტრდემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ვასილ თევდორაშვილმა, ასევე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტმა ლევან ბიძინაშვილმა. ტელეკომპანია მე-9 არხის ინფორმაციით, სამაშველო სამსახურის უფროსმა და რიგითმა თანამშრომელმა.

საჯარო მოხელეებმა უცენზურო გამონათქვამებით ასევე ჩაშალეს იმავე დღეს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ღირბში კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაგეგმილ სხვა აქტივობაც. საინფორმაციო სააგენტო „info-9“-ს ინფორმაციით, ღირბში ქართული ოცნების წინააღმდეგ გამართულ შეკრებაში უშუალოდ მონაწილეობდა აღნიშნული სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ჰამლეტ დავრამელიძე, ასევე ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა თანამშრომლები. დაფიქსირდა მათი მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის და [ჟურნალისტების მიმართ ძალის გამოყენების იზოლირებული შემთხვევები](#).

მართალია, საჯარო მოხელეს არ ეკრძალება არც პოლიტიკური პარტიის წევრობა და არც საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა, თუმცა აღნიშნული ქმედებები სრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახურს გააჩნია უპარტიო ხასიათი. ამავე კანონის 61-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოსამახურეს არ აქვს უფლება, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

როგორც ღირბის, ისე მერეთის ინციდენტს ადგილი ჰქონდა მაშინ, როცა საჯარო მოსამსახურეები დაკავებული უნდა ყოფილიყვნენ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით. საჯარო სამსახურის არაპარტიული ხასიათიდან გამომდინარე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, საჯარო მოსამსახურეებს მართებთ, თავი შეიკავონ პოლიტიკური სიმპათიებისა და ანტიპათიების გამოხატვისაგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



და, მით უმეტეს, სიტყვიერი და ფიზიკური იძულების გამოყენების გზით პოლიტიკოსის ამომრჩეველთან შეხვედრისათვის ხელის შეშლისაგან. დირბის და მერეთის ინციდენტის მონაწილე საჯარო მოხელეთა ქმედებები შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, რის გამოც უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან, იმსჯელონ მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე.

მოვუწოდებთ, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების გამგებლებს, უზრუნველყონ შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა და ამ პრინციპის დამრღვევი პირების მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენება. პოლიტიკური პროცესის ყველა მონაწილემ უარი თქვას ძალადობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს, პოლიტიკური პარტიების ამომრჩეველთან მშვიდობიან და უსაფრთხო ვითარებაში წარმართვა და ძალადობის აქტებზე დროული რეაგირება. საჭიროების შემთხვევაში, შსს-მ უზრუნველყოს იმ პოლიციელთა პასუხისმგებლობაში მიცემა, რომლებიც არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, აღკვეთოს ძალადობა.